

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა
ელექტრონული ჟურნალი



2020 წლის

№1

ნ. ჩიკვაძე

რ. ქინქლაძე

მ. ჩხატარაშვილი

ნ. კაკიტაძე

ნ. ვაშაყმაძე

ს. ინაიშვილი

ბ. ხუციშვილი

სარჩევი

რუბრიკები

კითხვის დრო ინგასთან ერთად

#კითხვისდრო #არცერთი დღე კითხვისგარეშე	5 გვ
--	------

შენი სივრცე

ჯერომ სელინჯერი - „ჭერი ასწიეთ დურგლებო“	6 გვ
დათო ტურაშვილი "ჯინსების თაობა"	7 გვ
ლიტერატურული კლუბის „შენი სივრცე“ პირველი შეხვედრა	8 გვ

ბიბლიოთეკა და ბიბლიოგრაფიული მიეზანი

წიგნის წარმოშობის ისტორია	9 გვ
წიგნები ემიგრანტებზე	10 გვ
გაზაფხულის მოზრძანებას გილოცავთ, ძვირფასო მკითხველებო!	11 გვ
„საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“	13 გვ
„დიდი ვიზუალური ენციკლოპედია“	14 გვ
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია	15 გვ
მარკ ლოურენსი „ეკლების უფლისწული“	17 გვ
ჭადრაკი ინტელექტუალური თამაშია	18 გვ
ლიტერატურული პერიოდული გამოცემები	21 გვ
სარა ჯენეტ მაასი	22 გვ
წიგნები მედიცინაზე	23 გვ
ხალხური მედიცინა	25 გვ
„ქართული ხელოვნების ისტორია“	27 გვ
#იკითხეთ პრესა ჩვენთან	28 გვ

ბათუმის ამერიკული კუთხე

საინფორმაციო - შემეცნებითი შეხვედრა ახალგაზრდებთან	31 გვ
ელექტრონული ბიბლიოთეკის eLibraryUSA-ის უფასო სერვისი	32 გვ

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება

კლოდ მონე 180 -----	33 გვ
#იკითხე #ჩვენთან -----	34 გვ
#იკითხე #ჩვენთან -----	35 გვ
#მოდი #ბიბლიოთეკაში -----	36 გვ
მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო-----	37 გვ
#იკითხეხმამალა, #შეცვალემსოფლიო! -----	38 გვ
გიორგი ლეონიძე 120 -----	39 გვ
„საზღაპრეთს“ კერძო ბაღის „მადაგასკარის“ აღსაზრდელები ეწვივნენ-----	40 გვ
#იკითხე #ჩვენთან -----	41 გვ
#მოდი #ბიბლიოთეკაში -----	42 გვ

ბიბლიოთეკის ღონისძიებები და აქტივობები

გამოფენა - „ვეფხისტყაოსანი“ -----	43 გვ
რამაზ სურმანიძის მიერ მომზადებული წიგნის პრეზენტაცია -----	44 გვ
ლიტერატურული პერფორმანსი - ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე -----	45 გვ
საჯარო ლექცია: „ადრექრისტიანული ქართული არქიტექტურა“ -----	46 გვ
#ახალისივრცე #ახალიშესაძლებლობა #ახალიგანზომილება -----	47 გვ
შხვედრები პატარებთან -----	49 გვ
ერნესტ ჰემინგუეს მოთხრობის „მოხუცი და ზღვა“ განხილვა -----	50 გვ
ბიბლიოთეკა შეუცვლელია -----	51 გვ
ჟურნალ „მზიანი ღამის N°ორე ნომრის განხილვა“ -----	52 გვ
#იკითხეხმამალა-----	53 გვ
წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე! -----	54 გვ
#იკითხეხმამალა -----	56 გვ
#WorldReadAloudDay #WRAD2020-----	57 გვ
#იკითხეხმამალა, #შეცვალემსოფლიო! -----	58 გვ
პოეტ რეზო სტურუას „ლექსის ზეიმი“ -----	59 გვ

დარჩისახლში

#დარჩისახლში -----	60 გვ
#Vivaitalia	
ტურინის სამეფო ბიბლიოთეკა -----	61 გვ
#დარჩისახლში #უკეთესიმომავლისთვის -----	63 გვ
#დარჩისახლში #უკეთესიმომავლისთვის #Vivaitalia -----	64 გვ

სიახლეები

„თოვლის გამყიდველი“-ს წარმატება -----	65 გვ
სადეზინფექციო ღონისძიებები -----	66 გვ
საჩუქრად წიგნები ბიბლიოთეკას -----	67 გვ
საგანმანათლებლო სივრცე -----	68 გვ
ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი -----	69 გვ
#პროექტი ეკვილიბრიუმი -----	70 გვ
ვიზიტი ქალაქ რიზეს სახალხო ბიბლიოთეკაში -----	71 გვ
ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი -----	72 გვ
გაასვლითი შეხვედრა წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით -----	73 გვ
ხატვის შემსწავლელი წრე -----	74 გვ
ქართული ანიმაციური ფილმები -----	76 გვ

#კითხვისდრო #არცერთი დღე კითხვისგარეშე

2020 წლის 25 თებერვალს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ახალ



საგანმანათლებლო სივრცეში, პროექტის - „კითხვის დრო“ ფარგლებში, კერძო სკოლა „ევრო 2000“-ის მე-2 კლასელები იმყოფებოდნენ. წამყვანმა ბიბლიოთეკარმა, ანუშკა მჭავანაძემ, ბავშვებს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „სირცხვილის ამორება“, ხოლო საჯარო ბიბლიოთეკის

დირექტორმა, ინგა გოგიბერიძემ, მარიამ წიკლაურის საბავშვო ლექსები წაუკითხეს. „კითხვის დრო“ ახალ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ბავშვთა ოთახში ჩატარდა. მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს წიგნის მუზეუმი, მარკების ოთახი და საკონფერენციო დარბაზი.

წამყვანმა ბიბლიოთეკარმა ეკა წუწუნავამ ბავშვებს ქართული სამაგიდო თამაშები გააცნო.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა არის სივრცე, სადაც ყველა თაობის ადამიანს ეძლევა საშუალება, მიიღოს ცოდნა და ინფორმაცია ინოვაციური სივრცეების მეშვეობით.

შენი სივრცე

ჯერომ სელინჯერი - „ჭერი ასწიეთ დურგლებო“

2020 წლის 23 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“ მორიგი შეხვედრა გაიმართა. კლუბის წევრების შეხვედრა ამერიკელი მწერლის, ჯერომ სელინჯერის წიგნის „ჭერი ასწიეთ დურგლებო“ განხილვას მიეძღვნა. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი პირველ პირში მოთხრობილი ამბავია. მოთხრობელი ბადი გლასია, რომელიც აღწერს მის უჩვეულო ოჯახს და რთულ, თუმცა თბილ ურთიერთობას და-ძმებს შორის.



#იკითხე #ლიტერატურა #ბიბლიოთეკაში

#შენისივრცე

დათო ტურაშვილი "ჯინსების თაობა"

2020 წლის 2 თებერვალს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მკითხველთა კლუბის "შენი სივრცე" შეხვედრა გაიმართა. კლუბის წევრებმა (ხელმძღვანელი მარიკა



ძნელაძე) განიხილეს დათო ტურაშვილის "ჯინსების თაობა". წიგნში მწერალმა სრულად გააშიშვლა ის საბჭოთა რეალობა, რასაც "თვითმფრინავის ბიჭები" შეეწირა. ეს არის წიგნი სიყვარულსა და თავისუფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი საკმაოდ მძიმე საკითხავია, ის კლუბის წევრებმა

ერთი ამოსუნთქვით წაიკითხეს. კლუბის ხელმძღვანელმა მომდევნო შეხვედრა 2020 წლის 16 თებერვალს ჩანიშნა, განხილული იქნება ჯერომ სელინჯერის „ჭერი ასწიეთ დურგლებო“.

#იკითხეთ ჩვენთან ერთად

ლიტერატურული კლუბის „შენი სივრცე“ პირველი შეხვედრა

2020 წლის 26 იანვარს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული კლუბის „შენი სივრცე“ პირველი შეხვედრა, სადაც განიხილეს კონკრეტული სამოქმედო გეგმები.

კლუბის მომდევნო შეხვედრაზე განხილული იქნება მწერალ დათო ტურაშვილის წიგნი „ჯინსების თაობა“.



წიგნის წარმოშობის ისტორია

წიგნი განსწავლულობის, მეცნიერებისა და სიბრძნის თვალსაჩინო სიმბოლოა. მისი შექმნის ისტორია მრავალ წელს მოიცავს. იმის ცდა, რომ ადამიანს რაიმე წერით გადმოეცა, ძალიან დიდი იყო. ყველას თავისი მეთოდი ჰქონდა, მაგრამ შექმნის მიზანი ნაკლებად იყო ჩამოყალიბებული.

პირველი წიგნი გვიანდელ შუა საუკუნეებში დაიბეჭდა. მაშინდელი წიგნის მბეჭდავი, იოჰან გუტენბერგი, წიგნის ბეჭდვის გამომგონებლად ითვლება (1400-1468), თუმცა ბეჭდვის ტექნიკა, რომელიც მან განავითარა და სრულყო, გაცილებით ადრე გამოიგონეს.



იოჰან გუტენბერგმა პირველი წიგნის ბეჭდვა დაასრულა 1455 წელს, რომელიც 180 ეგზემპლარად დაიბეჭდა.

შუა საუკუნეებში წიგნები გარეგნულად ისეთივე იყო, როგორიც დღესაა - მათ ჰქონდათ ყდა, ფურცლები და ნახატები.

წიგნებს მონასტერში ბერები წერდნენ. მათ გადამწერები ერქვათ. გადამწერები წიგნებს იწერდნენ და კაზმავდნენ.

ეგვიპტელები, თურმე, გაბრტყელებული პაპირუსისგან გაკეთებულ ქალღმერთზე წერდნენ. მელანს ისინი წყალსა და წებოსთან შერეული ხის ნახშირისგან ამზადებდნენ.

მოგვიანებით ცხოველების ტყავის პერაგამენტის ანუ ეტრატის დამზადება დაუწყიათ. იგი პაპირუსზე უკეთესი იყო, რადგან ეტრატზე ორივე მხრიდან იწერება.

●სწორედ ის დრო დგას, რომ წიგნები იკითხოთ, თანაც ძალიან ბევრი 
#კორონამაღწევა #იკითხეთწიგნები #დარჩიგენსგვერდზე

წიგნები ემიგრანტებზე

....ფეხებზე ქალამნები მოირგო, გულში სევდა ჩაიწერა,
ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და ცხოვრება ტომარად
მოიგდო მხარზე... მხარზე, რომელსაც სატკივარი და
სიხარული ერთად მოჰქონდა და ახლა კი სადღაც შორს
მიდიოდა...სხვა ქვეყანაში...უცხო მხარეში.
ინგა გოგიბერიძე

მათ ხან „მამლუქებს“ უწოდებდნენ, ხან „მუჰაჯირებს“. წინა ეპოქებშიც და
არც ამჟამად შეწყვეტილა ქართველთა გადინება მშობლიური ქვეყნის ფარგლებიდან.
ჩვენთვის ეს ადამიანები ემიგრანტები არიან. ემიგრაცია უცხო სიტყვაა და ნიშნავს
იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლებას თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში.

ყველას ბედმა აშოროს ემიგრანტების მწარე ხვედრი... ისინი სამშობლოს არ
გაქცევიათ... მათ სამშობლო გულში ჩაიტყეს და თან წაიღეს. ემიგრანტები ხატივით
ატარებდნენ და ატარებენ სამშობლოს სიყვარულს და საქართველოდან წაღებულ ერთ
მუჭა მიწას. ქვეყნიდან იძულებით გადევნილ ქართველს, ძლიერი სევდისა და
ნოსტალგიის მიუხედავად, როგორღაც გაუძლია და უღვაწია ისე, რომ სახელი და
ღირსება სამშობლო ქვეყნისა არ დაუმცირებია, პირიქით, უცხო ქვეყნის კულტურის
გამდიდრებისა და ამაღლებისათვის მსახურების გვერდით, თავისი ქვეყნის
ცხოვრებაზე უფიქრია და სიკეთე უკეთებია. მას არასოდეს დავიწყებია ის, თუ ვისი
გორისაა, რომ წარმოშობით ქართველია და „ქართულ მიწაში უდგას ფესვები“.

თუ დაინტერესდებით ჩვენი ემიგრანტების ცხოვრებით, თუ ერთხელ
კიდევ გინდათ თვალი გადაავლოთ მათ მოღვაწეობას, გაეცანით შემდეგ წიგნებს:

1. გურამ შარაძე - უცხოეთის ცის ქვეშ;
2. ნატო მარშანია - აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში;
3. სიმონ და დარეჯან არველაძეები - ჩვენებული უცხოელები;

4. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე - რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს;

5. თამარ ლომიძე (პროექტის ავტორი) - სამშობლოს სურნელი;

6. ინგა გოგიბერიძე - ამბები საქართველოს გარეთ;

7. პაატა ნაცვლიშვილი (რედაქტორი) - სამშობლო (ალმანახი);

8. ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ქართული ემიგრანტული ცხოვრება;

9. ივანე ბუნინი; ვლადიმერ ნაბოკოვი; სერგეი დოვლატოვი - ემიგრანტები;

10. შალვა ამირეჯიბი - ემიგრაციაში. წ.2;

11. შოთა ვადაჭკორია - ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა;

12. ქეთი რობაქიძე - ემიგრანტის დღიური;

13. ნანი გუგუნავა - ქართველ ემიგრანტთა კულტურული მემკვიდრეობა;

ყურადსაღების ის რჩევები, რასაც მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე აძლევს უცხოეთში წამსვლელ ქართველებს.

შევევედროთ ჩვენგან მარადის სადიდებელ ყოვლადწმიდა სამებას შეგვიწყალოს ჩვენ და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ქვეყნის ყოველიშვილი.

ღმერთო! ღვთისმშობელო მარიამ, დაუბრუნე შვილები დედა სამშობლოს. ამინ!

მთავარი ბიბლიოთეკარი მერი მალაყმაძე

ასევე მინდა გაგაცნოთ ვაჟა ოთარაშვილის მიერ შედგენილი წიგნი - „დედა ქართულ პოეზიაში“. როგორც თავად ავტორი წერს: „ქართველისათვის დედა, მარად ცოცხალი ხატებაა. სწორედ დედის უკვდავებას მივუძღვენით სათუთი იების კონად შეკრული ეს წიგნი“-ო.

და იებზე გამახსენდა გიორგი ლეონიძე...

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო - ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყისპირებში ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯეულად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში. იის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.“

დიდხანს გვიმოფხოს ღმერთმა დედები! ბედნიერ გაზაფხულს გისურვებთ!

მკირფასო მკითხველებო, მობრძანდით ბიბლიოთეკაში, იკითხეთ!

ბიბლიოთეკარი ქალბატონები კი ჩვეული ყურადღებითა და სითბოთი მოგემსახურებით!

ძირითადი წიგნსაცავი. ნატო გიორგაძე

„საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“

მინდა გაუწყოთ, ძირითადი წიგნსაცავის წიგნადი ფონდი სულ ახლახან შეივსო და გამდიდრდა გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემით:



„საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის“ ოცდაათ ტომეულით - ყველა თაობის საყვარელი სერით.

ამ სერიის ავტორთა ჯგუფმა გააცოცხლა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები. ამ მატიანის თითოეული წიგნი განსხვავებული ეპოქის ფურცელია, ყოველი ტომი ერთმანეთს ავსებს და ყველა თავისი უნიკალურობით არის მნიშვნელოვანი.

პროექტის ხელმძღვანელია ჯაბა სამუშია.

პროექტზე მუშაობდა 20-მდე ავტორი, მხატვრები, ისტორიკოსთა და კონსულტანტთა დიდი ჯგუფი.

წარმოგიდგენთ სერიაში შესული ტომების სათაურებს: მეფე თამარი, თბილისის ისტორია, ომი და მეომრები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ვახტანგ VI, დავით აღმაშენებელი, ქართული თეატრი და კინო, ფარნავაზი, ქართული მხატვრობა, გიორგი ბრწყინვალე, საბჭოთა ტერორი, არაბობა საქართველოში, ძველი კოლხეთი და მითი არგონავტებზე, ქრისტიანობა საქართველოში, ლუარსაბი და სვიმონი, საქართველოს გაერთიანება, დიდი ომიანობა ეგრისში, გიორგი სააკაძე, რომი და საქართველო, მონღოლები და საქართველო, ვახტანგ გორგასალი, ერეკლე მეორე, ტაო - კლარჯეთი, ილია ჭავჭავაძე, ბრძოლის საუკუნე, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II, სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი საქართველო, ქართული ხუროთმოძღვრება, ალექსანდრე I დიდი, დასავლეთ საქართველო XV-XIX ს., საქართველო და რუსეთის იმპერია.

ძირითადი წიგნსაცავი ნ. ვაშაყმაძე

„დიდი ვიზუალური ენციკლოპედია“


ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ მიიღო მკითხველთა ფართო წრისთვის განკუთვნილი „დიდი ვიზუალური ენციკლოპედია“. წიგნი თვრამეტ თემადაა



დაყოფილი, თითოეული თემა, თავის მხრივ, სპეციფიკურ ქვეთემებად იყოფა. თემატურად დალაგებულ თითოეულ ტერმინსა და განმარტებას ახლავს შესაბამისი, ზუსტი ილუსტრაცია, რაც საგნებისა თუ მოვლენების უკეთ აღქმის საშუალებას იძლევა. ილუსტრაციებით შევსებული განმარტებებით ნაჩვენებია ობიექტის ან ფენომენის არსებითი თვისებები, ფუნქციები, მახასიათებლები, რისი საშუალებით მკითხველი მეტ ინფორმაციას იგებს იმის შესახებ, რაც არ ჩანს, ან მხოლოდ სიტყვით

აღწერა არასაკმარისია.

„დიდ ვიზუალურ ენციკლოპედიაზე“ მუშაობა 25 წლის წინ, პარიზში დაიწყო და მალევე გამოსცეს. მას შემდეგ ლექსიკონი იხვეწებოდა და ახალ-ახალი ინფორმაციით ივსებოდა. ბოლო გამოცემა უკვე ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომია. მასში სრულყოფილად არის წარმოდგენილი თანამედროვე ტექნოლოგიური თუ ჰუმანიტარული ტერმინები, რომელთაც დღესდღეობით იყენებს ის საზოგადოება, რომლის ყოველდღრიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია მეცნიერება, ტექნოლოგია და მათი პროდუქტი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიიღო. იგი ქართული კონსტიტუციონალიზმის თავფურცელია. 1921 წლის 15 თებერვალს საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის ნაწილები საქართველოში შემოიჭრნენ. 15-16 თებერვალს საქართველოს ჯარებმა ბრძოლით უკან დაიხიეს თბილისისკენ. ამ მოვლენების გამო, 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რითაც შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა.

✓ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმია თბილისში შემოვიდა. ამით დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება — მან მხოლოდ ოთხი დღე იმოქმედა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია, ფაქტობრივად, ძალაშიც არ შესულა, იგი წარმოადგენდა სახელმწიფოს ძირითადი კანონის კლასიკურ მაგალითს, რომელშიც აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი

აღმშენებლობის გამოცდილება, იმდროინდელი ეპოქის მისწრაფებები და შეხედულებები.

✓ 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნება თბილისში ვედარ მოესწრო.

✓ საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ 24 თებერვალს ღამე დედაქალაქი დატოვა.

ინისი ჯერ ქუთაისში გადავიდნენ, ხოლო 10 მარტს კი ბათუმში, სადაც 17 მარტამდე დარჩნენ, შემდეგ კი ემიგრაციაში წავიდნენ.

სწორედ ამ პერიოდში ბათუმში უნდა გამოქვეყნებულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამისთვის შეარჩიეს ცნობილი ბათუმელი პოლიგრაფისტის, ნესტორ ხვინგიას სტამბა.

კონსტიტუცია დაიბეჭდა ცალკე წიგნად სათაურით „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს“. მისი ზომაა 19X13, მოცულობა — 40 გვერდი (ტირაჟი უცნობია). ეს გამოცემა არის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, რომლის ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული ეგზემპლარი დაცულია თბილისში, საქართველოს წიგნის პალატაში.

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამუშავებული კრების მიერ 1921 წლის
თებერვლის 21.



ბათუმი
ბეჭდვა ნ. ი. ბანდავაძე
1921 წ.

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და
განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილე-
ბისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული
ენა.

თავი პირველი

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 145.

საქართველოს სახელმწიფო ან სახელმწიფო დღის-
გამართლების დღისათვის უფლება აქვს
1) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან, და
2) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან.

მუხლი 146.

საქართველოს სახელმწიფო ან სახელმწიფო დღის-
გამართლების დღისათვის უფლება აქვს
1) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან, და
2) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან.

მუხლი 147.

საქართველოს სახელმწიფო ან სახელმწიფო დღის-
გამართლების დღისათვის უფლება აქვს
1) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან, და
2) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან.

მუხლი 148.

საქართველოს სახელმწიფო ან სახელმწიფო დღის-
გამართლების დღისათვის უფლება აქვს
1) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან, და
2) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან.

მუხლი 149.

საქართველოს სახელმწიფო ან სახელმწიფო დღის-
გამართლების დღისათვის უფლება აქვს
1) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან, და
2) სახელმწიფოს წესით წამყვან ან წამყვან.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მარკ ლოურენსი „ეკლების უფლისწული“

მარკ ლოურენსის სადებიუტო რომანი „ეკლების უფლისწული“ ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის საუკეთესო ლიტერატურული ნიმუშია. სამეფო ოჯახის



შთამომავალი იორგ ანკრათი - მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაკარგა, მომხიბლავი, მაგრამ უზნეო ყმაწვილი, სასტიკ კანონგარეშეთა ბანდას მეთაურობს. ქვეყნად ქაოსი სუფევს, ძალმომრეობა მძვინვარებს.

მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად მამის სასახლეში დაბრუნებულს, ბავშვობის საშინელებებისათვის თვალის გასწორება და ბედისწერის წინააღმდეგ საკუთარი მომავლის გაკაფვა უწევს ... რომანი მოგვითხრობს ორგულობაზე, ჯადოსნობასა და ძმობაზე. ის გვიხატავს ძალზე საინტერესო თავგადასავალს განსაკუთრებული ბიჭისა, რომელიც კაცობისა და ტახტისაკენ გზას ადგას.

ახალმიღებული წიგნი „ეკლების უფლისწული“ აბონემენტის ღია დაშვების თაროზეა განთავსებული და მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. წაიკითხეთ, ისიამოვნეთ და იმოგზაურეთ სხვა სამყაროში.

აბონემენტის განყოფილების უფროსი ნაირა მენაფირე.

ჭადრაკი ინტელექტუალური თამაშია

ძნელად თუ მოიძებნება სამყაროში ისეთი პოპულარული და დიდი ისტორიის მქონე სპორტის სახეობა, როგორიცაა ჭადრაკი. თუმცა მასზე პირობითად თუ ვიტყვით, რომ სპორტის სახეობაა. ჭადრაკი ინტელექტუალური თამაშია და მასში ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები. ხელოვნების დონეზე აყვანილ თამაშს სულხან-საბა ორბელიანი ჭადრაკს არა თამაშად, არამედ მღერად მოიხსენიებს. ჭადრაკის თამაში დიდ ყურადღებას, გონიერებას და ბევრ ფიქრს მოითხოვს. მას მთელ მსოფლიოში თამაშობენ. თამაში ძალიან რთულია, ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის განვითარებას, გამარჯვებისკენ სწრაფვას. „ჭადრაკი ეს თვით სიბრძნეა, იგი იცავს ადამიანს სასოწარკვეთილებისაგან, ანელებს შეყვარებულის შიშს, უკიდურესობისაგან აკავებს ლოთს, ხიფათში მებრძოლს აძლევს რჩევას და მძიმე წუთში მარტოობისას ამხანაგს გვაჩუქებს“-ასე განმარტავს ჭადრაკის არსს არაბი პოეტი.

არსებობს ასეთი ლეგენდა: ერთ უცნობ რაჯას სახელი გაუთქვამს შეუბრალებლობითა და მეტისმეტი სიმკაცრით, რისხვად ატყდებოდა ხალხს, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. მდგომარეობიდან გამოსავალი რაჯასთან დაახლოებულ პირს, სახელად სინს უპოვია. მას გამოუგონია ჭადრაკის თამაში: უჯრედებიან ხის დაფაზე ერთმანეთის პირისპირ დგას ძვლის ფიგურების ორი არმია. მათ მეფე მეთაურობს. იგი ყველაზე ძლიერი ფიგურაა. მისი სიკვდილი ბრძოლის წაგებას ნიშნავს, მაგრამ იგი ყველაზე სუსტიც არის - მეფობას მხოლოდ თანმხლები ფიგურების წყალობით ინარჩუნებს. ლეგენდა არაფერს ამბობს, გაიგო თუ არა რაჯამ უცნაური თამაშის ავტორის ფარული აზრი, მაგრამ გამოგონებას აღტაცებაში მოუყვანია.

არავინ იცის რამდენი ხანია არსებობს ჭადრაკი ქვეყანაზე, ვერ შეთანხმდნენ ზუსტი თარიღის დადგენაში, მაგრამ ისტორიოგრაფები ორ დებულებაში ეთანხმებიან ერთმანეთს: ერთი - ჭადრაკის სამშობლო ინდოეთია, მეორე - იგი უძველესი თამაშია. ჭადრაკმა იმთავითვე მიიქცია თანამედროვეთა ყურადღება. თამაშის ეს ახალი სახეობა

მალე გავრცელდა ქვეყნიდან ქვეყანაში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ხან სამშობლოში დაბრუნებულმა მოგზაურებმა აზიარეს ხალხები ჭადრაკს, ხან ვაჭრებმა წაიღ-წამოიღეს იგი.

საქართველოში უხსოვარი დროიდან თამაშობდნენ ჭადრაკს. გადმოცემის



თანახმად, ძველად, ქალს მზითევში „ვეფხისტყაოსანს“ და ჭადრაკს ატანდნენ. მემატთანემ შემოგვინახა მეფე ვახტანგ მეექვსის ასულის, თამარის მზითვის სია, რომელიც 1712 წელსაა შედგენილი. მასში ჭადრაკიც არის შეტანილი. ჭადრაკი მოხსენიებულია მრავალ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროსა და ძეგლში. სავარაუდოა,

რომ ჭადრაკი ჩვენში ან ინდოელი ვაჭრების, ან სპარსელების შემოტანილია. იგი საქართველოში არაბთა მოსვლამდე იყო ცნობილი. XIX საუკუნემდე არ არის შემორჩენილი ცნობები ქართველ მოჭადრაკეთა შესახებ. თუმცა ასეთები რომ იყვნენ ისიც ადასტურებს, რომ ნაპოვნია XII, XV და XVII საუკუნეების ქართული ჭადრაკის კომპლექტები. ცნობილ ქართველ მოჭადრაკეთა სიას სათავეში ანდრია დადიანი უდგას - ჭადრაკზე უზომოდ შეყვარებული, ხელგაშლილი მეცენატი და XIX საუკუნის უძლიერესი მოთამაშე. ჭადრაკთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვა გამოჩენილი ქართველები. ჭადრაკის თამაშში ქართველ მამაკაცებს ტოლს არ უდებდნენ ქართველი ქალებიც. თბილისის პირველი გაზეთი „Тифлисские ведомости“ (1830წ.№2) გვაუწყებს: ახალი წლის წინ ბევრ ოჯახში ქალები ჭადრაკით ერთობოდნენო. ფოტინე ჩიქოვანი - დადიანისა (1812-1907) რაჭა - ლეჩხუმში ცნობილი მოჭადრაკე ქალი იყო. საქართველოს გამოჩენილმა მოჭადრაკე ქალებმა ნონა გაფრინდაშვილმა, მაია ჩიბურდანიძემ, ნანა ალექსანდრიამ, ნანა იოსელიანმა, ნინო გურიელმა, ქეთევან არახამიამ მრავალ საერთაშორისო ტურნირზე თუ მსოფლიო პირველობაზე ასახელეს საქართველო. ჭადრაკზე ბევრი დაწერილა წარსულში, იწერება დღესაც და დაიწერება

მომავალშიც. ჩვენი ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნსაცავის წიგნად ფონდში ბევრი საინტერესო წიგნი მოგვეპოვება ჭადრაკზე. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

- 1.მაქს ეივე ჭადრაკის ლექციების კურსი, თბ. 1940;
- 2.ლასკერი ემ. ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო, თბ. 1958;
- 3.მახარაძე გ. ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები, თბ. 1960;
- 4.ვადბოლსკი მ. ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე თბ.1972;
- 5.გიორგაძე თ. ქარტეხილი ჭადრაკის სადედოფლოში თბ. 1976;
- 6.გიორგაძე თ. ნიჭის ახალი აფეთქება თბ. 1986;
- 7.გიორგაძე თ. მათ უყვარდათ ჭადრაკი თბ.1989;
- 8.ლარცულიანი შ. შთაგონებიდან რეალობამდე თბ. 1992;
- 9.გიორგაძე თ. ქართული ჭადრაკის მატიაზე თბ. 1995;
- 10.კუპრაშვილი ვიოლეტა გიწვევთ ჭადრაკის სამყაროში თბ. 2000;
- 11.პაკი ვბ. რობერტ ფიშერი თბ.2012.

ძირითადი წიგნსაცავი ნ. ვაშაყმაძე

ლიტერატურული პერიოდული გამოცემები

ლიტერატურის სიყვარულს, ახალი ინფორმაციის წაკითხვის და გაგების სურვილს მოჰყავს ბიბლიოთეკაში ადამიანები. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის



პერიოდიკის განყოფილება გაგაცნობთ, თუ რა შეგიძლიათ წაიკითხოთ ლიტერატურაზე იმ პერიოდულ გამოცემებში, რომელიც ჩვენს ფონდში ინახება. პირველად ლიტერატურული ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ვგებულობთ სიახლეებს: ახალი პროზა და პოეზია, ახალი თარგმანები, ლექსები, წერილები, მწერლების ბიოგრაფიები, კრიტიკა და რეცენზიები, პუბლიცისტიკა და ა.შ. გაგაცნობთ იმ ჟურნალების ჩამონათვალს, რომელიც შეგიძლიათ ჩვენთან წაიკითხოთ. ეს ჟურნალებია: „ახალი საუნჯე“,

„აფინაჟი“, „განთიადი“, „ისინდი“, „ლაკლაკეთი“, „ლაშარი“, „ლიახვი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ჭოროხი“, „მოამბე“, „მნათობი“, „მწვანეყვავილა“, „ორბეთი“, „პარალელი“, „პირველი სხივი“, „რიწა“, „საუნჯე“, „ტალღა“, „ჩვენი თაობა“, „ჩვენი მწერლობა“, „ცისკარი“, „ცისარტყელა“, „ხომლი“, „ხორნაბუჯი“, „აფრა“. გაზეთები: „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურული გაზეთი“, „მწერლის გაზეთი“.

დოჩანაშვილს დავესესხები და გეტყვით, რომ: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი“ და გელოდებით, ჩემო მკითხველებო.


კულტურული პროგრამების და სამკითხველო

დარბაზებით მომსახურების განყოფილების უფროსი მაია ჩხატარაშვილი.



სარა ჯენეტ მასი

სარა ჯენეტ მასი დაიბადა 1986 წლის 5 მარტს ნიუ-იორკში. სარა არის ბესტსელერების ავტორი. მისი პირველი რომანია „შუშის ტახტი“, რომელიც გამოიცა 2012 წელს. რომანმა მალე დაიმსახურა მოწონება და გახდა მსოფლიო ბესტსელერი.



რომანის გმირი მიდის ქვეყანაში, სადაც მაგია გამქრალია და რომელსაც დამპყრობელი მეფის რკინის ხელი მართავს. სასახლეში იხმოვნ ასასინს. ის იქ მიდის არა მეფის მოსაკლავად, არამედ თავისუფლების მოსაპოვებლად. მაგრამ თავისუფლებისთვის ბრძოლა გადარჩენისთვის

ბრძოლად გადაიქცა. „შუშის ტახტის“ გაგრძელებაა „შუადამის გვირგვინი“. სასტიკ შეჯიბრებაში გამარჯვებული სელენა სარდოტიენისთვის ადვილი არ არის ემსახუროს მეფეს, რომლის ხელსაც დანდობა არ სჩვევია....

სარა მასის მესამე წიგნია „ეკლებისა და ვარდების სამეფო“. ოდესღაც დიდებული ოჯახი გალატაკების შემდეგ ციხე-დარბაზიდან პატარა კოტეჯში გადასახლდა. ოჯახის ყველაზე უმცროსი, ცხრამეტი წლის ფერა, იძულებულია შიმშილით რომ არ დაიხოცონ, საშიშ ტყეში ინადიროს... წიგნი საინტერესოა და დარწმუნებული ვარ, მასაც ბევრი მკითხველი ეყოლება. წიგნი ბიბლიოთეკაში უკვე მივიღეთ და ერთ კვირაში აბონემენტის ღია დაშვების თაროზე განთავსდება.

აბონემენტის განყოფილების
უფროსი ნაირა მენაფიჩე

წიგნები მედიცინაზე

მედიცინა წარმოდგება ლათინური სიტყვა “medicus”-გან, რაც მკურნალის ანუ ექიმის აღმნიშვნელია. იგი მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გამოცდილებით დაგროვდა სამკურნალო საშუალებები და მეთოდები, ისინი შემონახული იქნა



ხალხურ მედიცინაში და მოგვიანებით მისი მეცნიერული ნაწილი გახდა. „მედიცინა,“ მეცნიერთა მოსაზრებით, კოლხეთის მეფის, აიეტის ქალიშვილის - მედეას სახელთანაა დაკავშირებული და მოიცავს ძველი წელთაღრიცხვის XIII –XII საუკუნეებს. იმ დროს აქ სამკურნალო ხელოვნება თავისი კონცეპტუალური ბაზით, ნედლეულითა და იარაღ-მოწყობილობებით დამოუკიდებელ დარგად არსებობდა, თანაც საგანგებო პროფესიული ემბლემით- გველის გამოსახულებით. სამეფო ოჯახის წევრები, მედეას მამიდა ჰეკატე და უფროსი და კირკე, კარგად ფლობდნენ საექიმო ხელოვნებას, მაგრამ მედეა განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო. იგი მარტოდმარტო, ღამლამობითაც კი სასახლის შემოგარენში ეძიებდა ახალ სამკურნალო მცენარეებს, მათგან ფიზიკური, ქიმიური და მექანიკური მეთოდებით აქტიურ საწყისს გამოყოფდა და წამლის შესაქმნელ კონცენტრატს - საწამლავს იღებდა. საწამლავის განზავებით კი წამალს ამზადებდა. ეს არის დღევანდელი მედიცინისა და ფარმაციის უპირველესი პრინციპი, ამ მეთოდს იმდროინდელ მსოფლიოში ანალოგი არ ჰყოლია. დღეს სამედიცინო საქმე არის ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მიმართულება. ჩვენი ბიბლიოთეკა ყოველთვის ცდილობს მკითხველს მიაწოდოს მისთვის საჭირო ლიტერატურა. ამაზე მეტყველებს საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული უამრავი სამედიცინო წიგნი:

1. ნ. ტატიშვილი, გ. სიმონია, „შინაგანი სნეულებანი“;

2. ნ. გრიგოლია, „ქირურგიული დაავადებები“;
3. ი. კერულაშვილი, „ნევროლოგია“;
4. რ.ხუციშვილი, „ადამიანის ანატომია“.
5. ნ.მანჯავიძე, გ. მერელიშვილი, „პედიატრია“;
6. გ.იმნაძე და სხვები „კარდიოსტიმულაცია“;
7. ო. სავერნე, მ. ბელასენი „აუტისტი ბავშვი“;
8. კარაბადინი. ხალხური სამედიცინო რეცეპტები;
9. ვ. მახარაძე, „ფარმაცია“;
10. ჯ. კლოჭერტი, „ნეონატოლოგია“;
11. რ. კვერენჩილაძე, „ბუნებრივი გარემოს ჰიგიენა“;
12. გ. თურმანიძე, „სამედიცინო ფარმაცოლოგია სტომატოლოგიური“;
13. რ.ხუციშვილი და სხვა „გულ-სისხლძარღვთა სისტემის ანატომია“ და ა.შ.

ძვირფასო მკითხველო, გელოდებით, მოზრდნდით და ისარგებლეთ თქვენთვის საჭირო სამედიცინო ლიტერატურით. აქ დაგხვდებათ სასიამოვნო და კომფორტული გარემო თქვენი ინტერესების გათვალისწინებით.

მთავარი ბიბლიოთეკარი ინგა კოჭიაშვილი



ხალხური მედიცინა

ხალხური მედიცინა, რომელიც საფუძვლად დაედო ტრადიციულ მედიცინას, არსებობს ადამიანის გაჩენის დღიდან.



ადამიანები საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადასცემდნენ ხალხურ რეცეპტებსა და გამოცდილებას სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. მრავალგზის ნაცადი ხალხური რეცეპტები დღეისათვის ძვირფასი განძია მსოფლიოს ხალხებისათვის.

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ თანახმად, სამკურნალო მცენარეები მსოფლიოში მედიცინის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სისტემაა. სამკურნალო მცენარეებისადმი და მცენარეული პრეპარატებისადმი ინტერესი ბოლო რამდენიმე ათწლეულში საგრძნობლად გაიზარდა და ვის თუ არა საქართველოს-მედეას სამშობლოს, აქვს დიდი ისტორიული გამოცდილება და არანაკლებ დიდი პერსპექტივა ამ მიმართულებით. ქართული ტრადიციული მედიცინა საუკუნეებს მიღმა იღებს სათავეს და მის მასულდგმულებელ წყაროს, ხალხში ასწლეულობით და ათასწლეულობით გაბნეული სიბრძნე - გამოცდილი სამკურნალო რეცეპტები წარმოადგენს.

დღეს მსოფლიო მედიცინამ განვითარების მწვერვალს მიაღწია, მაგრამ დღითიდღე იზრდება დაავადებათა რიცხვი. ქიმიურ პრეპარატებს ხშირ შემთხვევაში

მძიმე შედეგებამდე მიჰყავთ კაცობრიობა. სულ უფრო მეტი ადამიანი აღიარებს იმ სარგებელს, რაც მცენარეებით მკურნალობას მათთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის მოაქვს.

ჩვენი ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნსაცავი ფლობს საკმაოდ მდიდარ მასალას ხალხური მედიცინის, სამკურნალო მცენარეებისა და ხალხში გაბნეული უამრავი საინტერესო სამკურნალო რეცეპტის შესახებ.

მოგაწვდით საჯარო ბიბლიოთეკის საცავში არსებული წიგნების ჩამონათვალი:


1. კარაბადინი ხალხური სამკურნალო რეცეპტები; გამომცემლობა პალიტრა | 2017;
2. 2000 მცენარეული რეცეპტი; გამომცემლობა პალიტრა | 2018;
3. სამკურნალო მცენარეები აღწერა მოყვანა გამოყენება; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2014;
4. ქვათაძე ვ.ლ. ხალხური მედიცინის ენციკლოპედია; თბილისი 2007;
5. ხალხური მედიცინის ენციკლოპედია 777 სამკურნალო რეცეპტი 2010;
6. ხახიშვილი-გორგაძე ლ. რჩევები და რეცეპტები ხალხური მედიცინის საგანძურიდან ასთმაზე და ალერგიაზე ;
7. ხახიშვილი-გორგაძე ლ. რჩევები და რეცეპტები ხალხური მედიცინის საგანძურიდან ნევროზი, სტრესი, უძილობა, დეპრესია... ქუთაისი 2011 ;
8. ხეტეშვილი ს. ჯანმრთელობის საგანძური თბილისი 2011 ;

ძირითადი წიგნსაცავი

ნ. ვაშაყმაძე

„ქართული ხელოვნების ისტორია“

წარმოგიდგენთ საინტერესო წიგნს წიგნსაცავის ფონდიდან „ქართული ხელოვნების ისტორია“. დამეთანხმებით, ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოს



მოწინავე ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრება უნდა, წარმოუდგენელია ხელოვნების ისტორიის წიგნის გარეშე.

როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, „წიგნი-უპრეცედენტოა. საქართველოში ჯერ მსგავსი გამოცემა არ განხორციელებულა - წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ნარკვევები ქართულ ხელოვნებაზე უძველესი დროიდან დღემდე.“

წიგნი აერთიანებს ხელოვნების დარგებს - არქიტექტურიდან, სახვითი ხელოვნების, ქანდაკების, მუსიკის, თეატრის, ოპერისა ბალეტის ჩათვლით, კინემატოგრაფამდე და განიხილავს ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამა თუ იმ დარგის განვითარებაში და წარმოაჩენს ქართული ხელოვნების იმ ინდივიდუალურ თავისებურებებს, რომლებითაც მსოფლიომ ქართული ხელოვნება გაიცნო.

წიგნის ილუსტრაციები სინქრონულად მიჰყვება ტექსტებს, რომ მკითხველს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშზე. ნარკვევების პოპულარული ენა კი იმის გარანტიას იძლევა, რომ წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მომავალი ხელოვნებათმცოდნეებისათვის, სპეციალისტებისათვის, არამედ გასაგები იქნება ფართო მკითხველისათვისაც.

მოზრძანდით! იკითხეთ ჩვენთან!

ნატალია გიორგაძე

ძირითადი წიგნსაცავი

#იკითხეთპრესაჩვენთან

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მკითხველთა მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია საბიბლიოთეკო პროცესის გამართულ მუშაობაზე. ამიტომაც ყოველწლიურად ვზრუნავთ ჩვენს მკითხველებზე და მათი მოთხოვნის შესაბამისად ვიწერთ ჟურნალ-გაზეთებს. 2020 წელს ბიბლიოთეკამ 65 დასახელების ჟურნალ-გაზეთი გამოიწერა, როგორც ქართულენოვანი ასევე რუსულენოვანი. გაგაცნობთ მათ ჩამონათვალს იქნებ, დაგაინტერესოთ.

გაზეთები:


1. აჭარა
2. აჭარა პ.ს.
3. ყოველკვირეული ალია
4. ასავალ-დასავალი
5. ვერსია
6. ახალი თაობა
7. ახალი განათლება
8. ბანკები და ფინანსები
9. ლიტერატურული საქართველო
10. ლიტერატურული გაზეთი
11. მწერლის გაზეთი
12. კვირის პალიტრა
13. ქრონიკა +
14. რეზონანსი
15. საქართველოს რესპუბლიკა
16. საქართველო და მსოფლიო
17. ლელო
18. სახალხო გაზეთი
19. А. И. Ф.
20. ИЗВЕСТИЯ
21. ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА
22. СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО



ჟურნალები:

1. ახალი საუნჯე

2. არილი
3. აგრარული საქართველო
4. აფრა
5. აფინაჟი
6. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები(ბიზნესი და მენეჯმენტი)
7. ბუღალტრული აღრიცხვა
8. გზა
9. გადასახადები და აღრიცხვა
10. განთიადი
11. დილა
12. ეკონომიკა
13. ებგური(ზუგდიდი)
14. თბილისელები
15. იალქანი(აფხაზეთი)
16. ისტორიანი
17. კარიბჭე
18. NATIONAL GEOGRAPHIC (ქართულენოვანი)
19. ოჯახის მკურნალი
20. საპატრიარქოს უწყებანი
21. სიტი
22. სარკე
23. სტილი
24. საბავშვო კარუსელი(ქართულენოვანი)
25. შინ
26. რიწა
27. Библиотечное Дело
28. Бурда
29. Вокруг света
30. За рулём
31. Здоровье
32. Иностранная Литература
33. Караван Историй
34. Интерьер+Дизайн
35. Лиза
36. Наука и Жизнь
37. Наука и религия
38. Огонёк
39. Фискултура и спорт




ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა მუდამ თავის მკითხველებზე ფიქრობს. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა თავი კომფორტულად იგრძნოს.

..... და ამ კომფორტსა და სიმშვიდეში გელოდებით თაროებზე განლაგებული, ქაღალდის ფურცლებზე აკინძული და შემონახული ჩვენი წარსულიცა და დღევანდებლობაც.

გელოდებით.....

#იკითხეთჩვენთანერთად.....

კულტურული პროგრამების და
სამკითხველო დარბაზებით მომსახურების
განყოფილების უფროსი მაია ჩხატარაშვილი.



ბათუმის ამერიკული კუთხე

საინფორმაციო - შემეცნებითი შეხვედრა ახალგაზრდებთან

დღევანდელ საჯარო ლექციაზე შეკრებილ ახალგაზრდებს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენლები ტყის ხანძრების გამომწვევ მიზეზებზე ესაუბრნენ. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ხანძრების სიხშირეზე საქართველოში, ხანძრის შედეგად დამწვარ მწვანე საფარის აღდგენის პროცესებსა და გეო-საინფორმაციო სისტემებზე, რომლებიც გვეხმარება ხანძრების იდენტიფიცირებაში.

მოსწავლეებს სპიკერებმა ინფორმაცია ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის შესახებაც მიაწოდეს.



ელექტრონული ბიბლიოთეკის eLibraryUSA-ის უფასო სერვისი

2020 წელს, ჩვენო მკითხველებო, ძალიან საინტერესო და საჭირო ინფორმაციით ვიწყებთ:

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის "ამერიკული კუთხე" ელექტრონული ბიბლიოთეკის eLibraryUSA-ის უფასო სერვისს გთავაზობთ. eLibraryUSA აერთიანებს ისეთ აკადემიურ ონლაინ პლატფორმებს, როგორიცაა PressReaders, Flipster, Gale Academic One File, JSTOR, ProQuest, Gale in Context, Digital Literacy, Canopy და სხვა.

ისარგებლეთ ელექტრონული ბიბლიოთეკით და იმუშავეთ აკადემიურ, რეცენზირებულ გამოცემებზე თქვენი სამეცნიერო თუ საკურსო ნაშრომებისთვის.



კლოდ მონე 180

2020 წლის 20 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო-სამკითხველო დარბაზში გაიმართა შემეცნებითი საუბარი თემაზე: კლოდ მონე და იმპრესიონისტები, რომელიც ფრანგი ფერმწერის 180 წლის იუბილეს მიეძღვნა.

შეხვედრას ბათუმის #22 საჯარო სკოლის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები და ხელოვნების მასწავლებლები დაესწრნენ. სტუმრებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტრაძე მიესალმა. კლოდ მონეს შემოქმედებაზე და იმპრესიონისტულ მიმდინარეობაზე მოზარდებს მთავარი ბიბლიოთეკარი ელენორა ძიგუა ესაუბრა.

მოსწავლეებმა ისაუბრეს მხატვრობაზე, ფრანგი ფერმწერის ბიოგრაფიაზე, ასევე დიდი ინტერესით გაეცნენ ლიტერატურას გამოჩენილ მხატვრებზე, რომელიც დარბაზში სპეციალურად დღევანდელი შეხვედრისთვის გამოიფინა.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებამ ბათუმის #22 საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან დღეს საჩუქრებიც მიიღო. მოზარდების მიერ აკვარელით, გუაშითა და პასტელით შესრულებული 20-მდე პეიზაჟი და ნატურმორტი დღეიდან საერთო სამკითხველო დარბაზში დაიდებს ბინას.

შეხვედრის დასასრულს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტრაძემ მოსწავლეებს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას #21) ხატვის შემსწავლელი წრის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, რომელსაც მხატვარი ელგუჯა ხაზარაძე ხელმძღვანელობს. ხატვის წრე ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებული მოზარდებისათვის უფასოა.



#იკითხე #ჩვენთან

❖ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ კერძო ბაღის „მადაგასკარის“ აღსაზრდელები ეწვივნენ .

❖ ჯგუფების “მზიანეთისა” და “ანბანელას” წევრებს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის



საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა და ბიბლიოთეკაში პირველი სტუმრობა მიულოცა.

❖ პატარებს ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ თამარ ფხაკაძის “ანბანთქებიდან”

ლექსები წაუკითხა, რომელიც ბავშვებს სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს ასწავლის. ასევე გააცნო პატარა ონავარი თაგუნის თავგადასავალი წიგნიდან „ტოპო-ტიპი გააბრაზეს“.

❖ პატარა სტუმრებმა ბავშვთა დარბაზის ხელნაკეთი წიგნადი ფონდიც დაათვალიერეს, სადაც 100-მდე წიგნი ინახება. მოისმინეს პატარა მხიარული მატლის ისტორია ლუკა გოგეშვილის ხელით დამზადებული წიგნიდან “ბუკის მოგზაურობა”. ასევე დაინტერესდნენ ბიბლიოთეკაში არსებული სამგანზომილებიანი წიგნებით.

❖ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას პატარები მკითხველებად დარეგისტრირდნენ და საჩუქრად მკითხველის ბარათები მიიღეს.

#იკითხე #ჩვენთან

✓აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთში“ აქტიურ მკითხველებთან შეხვედრა გაიმართა.

✓ „საზღაპრეთის“ დღევანდელი შეხვედრა ქართველი საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის დაბადებიდან 154 წლისთავს მიეძღვნა. მთავარი ბიბლიოთეკარი ლელა სურმანიძე ბავშვებს მწერლის შემოქმედებაზე ესაუბრა. აღნიშნა, რომ მღვიმელის პოეზიის დიდი ნაწილი ბუნების სურათებს, მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს ასახავს. იგი ასევე, მეგობრობდა ბუნების ფშაველ მგოსანთან ვაჟა-ფშაველასთან.

✓ ლელა სურმანიძემ შიო მღვიმელის „ტყის სურათებიდან“ ლექსები „ციგაობა“ და „ბელურა“ წაიკითხა. იმსჯელეს ლექსების შინაარსსა და დედააზრზე. კითხვაში ჩაერთო ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროს თინა ცენტერაძეც, რომელმაც ყველსათვის საყვარელი ლექსი „პაწია მერცხალი“ წაიკითხა.



#მოდი #ბიბლიოთეკაში

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის



საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მოსწავლეთა დარბაზს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მესამე კლასის მოსწავლეები ეწვივნენ (დამრიგებელი რუსუდან თოიძე).

მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნანა კვაჭაძემ პატარებს ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა “მოუარეთ საქართველოს!” წაუკითხა, თავის მხრივ კი მოსწავლეებმა ანდრია სხვიტარიძემ და ანდრია რუხაძემ რევაზ ინანიშვილისა და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებიდან ამონარიდები წაიკითხეს.

მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო

2020 წლის 5 თებერვალს, გაიმართა ღონისძიება, რომელსაც კერძო სკოლა



“ნიკეს” მერვე კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ. შეხვედრა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერაძემ გახსნა. იგი მოზარდებს ღონისძიებისა და წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე ესაუბრა და ლორდ ჩესტერფილდის წიგნიდან – „წერილები ვაჟიშვილს“ ნაწყვეტი წაიკითხა. ნაწარმოებიდან ამონარიდი ხმამაღლა წაიკითხეს მოსწავლეებმაც.

ვინაიდან წლევეანდელი ღონისძიებები მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილეს ეძღვნება, კერძო სკოლა “ნიკეს”

მასწავლებელმა თეა მაღაყმაძემ მწერლის ცნობილი მოთხრობიდან “მიწის ძახილის” ამონარიდი წაიკითხა. მოსწავლეები შეჰპირდნენ ბიბლიოთეკარებს, რომ სკოლაში დაბრუნების შემდეგ ნაწარმოებს ბოლომდე წაიკითხავენ.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

თინა ცენტერაძე

#იკითხეხმამაღლა, #შეცვალემსოფლიო!

2020 წლის 5 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა.

მთელი დღის განმავლობაში, როგორც ბიბლიოთეკის ძირითად შენობაში, ასევე საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა.

ამ დღესთან დაკავშირებით, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებას მწერალი თაზო ვაჩნაძე ეწვია. შეხვედრას ბათუმის მეათე საჯარო სკოლის უფროსკლასელები ესწრებოდნენ. ავტორმა



მოსწავლეებს საკუთარი თავი და წიგნი “საფეხური” ერთდროულად წარუდგინა. ისაუბრა საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტიგმაზე, რომელიც ადამიანებს ეთნიკური ნიშნით განასხვავებს. ეს კი მთლიან ნაწარმოებს ფონად გასდევს. სწორედ, აღნიშნული პრობლემა ქმნის უფსკრულს რომანის გმირებს შორის სიყვარულსა და მეგობრობაში.

ღონისძიების მსვლელობისას მწერლათან ერთგვარი ინტერვიუც შედგა. საიდანაც ცნობილი გახდა რომანის შექმნის იდეისა და მნიშვნელობის შესახებ. ასევე, მსმენელმა ძალიან ბევრი რამ გაიგო მისი პიროვნებისა და სამომავლო გეგმებზე. ავტორი ახალ რომანზე მუშაობს, რომელსაც სავარაუდოდ, ჩვენს ქალაქში დაასრულებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თაზო ვაჩნაძე რამდენიმე თვეა ბათუმში ცხოვრობს.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მეათე საჯარო სკოლის მოსწავლეებს წამყვანმა ბიბლიოთეკარმა თეა ლოღობერიძემ თანამედროვე მწერლის - ჯონ სტეინბეკის ნაწარმოები „მარგალიტი“ წარუდგინა და ტექსტიდან ნაწყვეტი წაუკითხა. მსმენელს ასევე მიაწოდა ინფორმაცია მწერლის საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

თეა ლოღობერიძე ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის გუნდის ახალი წევრია და ამ ღონისძიებაზე წარმოდგენილი პრეზენტაციით მისი ერთგვარი დებიუტი შედგა.

✓ 2020 წლის 31 იანვარს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში გაიმართა გიორგი ლეონიძის 120 წლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო - "როგორ გამისხლტი ახალგაზრდობავ და რა ყიჟინით გადიგრიალე". მასში ბათუმის კერძო სკოლა "ნიკეს" მეშვიდე კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ (დამრიგებელი ხათუნა ნაკაშიძე).



✓ ღონისძიება ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნანა კვაჭაძემ გახსნა. ისაუბრა მწერლის შემოქმედებაზე, მის როლზე ქართული ლიტერატურის განვითარებაში და ბიბლიოთეკის სტუმრებისთვის პოეტის ლექსი-სადღეგრძელო "გოგლაური" წაიკითხა.

✓ დღევანდელ საღამოზე სკოლა "ნიკეს" მოსწავლეებმა და პედაგოგებმა საინტერესო და მრავალფეროვანი ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება წარმოადგინეს. წაიკითხეს პოეტის ლექსები, ნაწყვეტები მისი მოთხრობებიდან და ყურადღება გაამახვილეს გიორგი ლეონიძის ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებზე. გარდა ამისა, მოზარდებმა მუსიკის მასწავლებელ ლალი კონცელიძის აკომპანიმენტით შეასრულეს სიმღერები "დედაზე" და "სამშობლოზე".

„საზღაპრეთს“ კერძო ბაღის „მადაგასკარის“ აღსაზრდელები ეწვივნენ.

✓ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო



ახალგაზრდობის განყოფილებაში არსებულ კლუბ - „საზღაპრეთს“ კერძო ბაღის „მადაგასკარის“ აღსაზრდელები ეწვივნენ.

✓ პატარებს ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ უმასპინძლა, რომელმაც სტუმრებს პრინცესას ზღაპარი წაუკითხა, ასევე გამოსცადა ისინი შოთა ხოდაშნელის გამოცანებით “რის შვილს რა ჰქვია”.

✓ ბავშვების განწყობაზე იზრუნა ბიბლიოთეკარმა ნანა ბერიძემაც - ბავშვებს ზღაპარი „მხიარული ბაჭია“ წაუკითხა.

✓ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას პატარებმა ბავშვთა დარბაზის გარდა, სხვა სივრცეებიც დაათვალიერეს, დარეგისტრირდნენ მკითხველებად და აიღეს მკითხველთა ბარათები.

#იკითხე #ჩვენთან

✓ 2020 წლის 28 იანვარს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო სამკითხველო დარბაზში, მთავარი ბიბლიოთეკარის ელენარა მიგუას ორგანიზებით ლიტერატურული სადამო გაიმართა. შეხვედრის თემა: გამოჩენილი ქართველი მწერლის ჯემალ ქარჩხაძის ალეგორიული რომანი “იგი”.

✓ ღონისძიებაში ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული კლუბის წევრები (ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის IX-X კლასის მოსწავლეები) მონაწილეობდნენ.

✓ მოსწავლეებმა მოთხრობიდან ნაწყვეტები წაიკითხეს. ისაუბრეს მწერლის შემოქმედებასა და პრესტორიული ხანის ადამიანების ცხოვრების თავისებურებებზე. ასევე, იმსჯელეს მთავარი გმირის მისიაზე, სამყაროსადმი მის უჩვეულო დამოკიდებულებაზე, პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების მიზეზებზე.

#ლიტერატურული #კლუბი



#მოდი #ბიბლიოთეკაში

↗ 2020 წლის 15 იანვარს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ “საზღაპრეთში,” ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, მკითხველებთან შეხვედრა გაიმართა.

↗↗ ღონისძიება პოეტის შესანიშნავი ლექსით “საქართველო ლამაზო” გაიხსნა, რომელსაც ლეგენდარული მსახიობი ლეო ანთაძე კითხულობს. პოეტის შემოქმედებაზე, მის ლექსებზე შექმნილ მუსიკაზე ბიბლიოთეკის სტუმრებს მთავარი ბიბლიოთეკარი ლელა სურმანიძე ესაუბრა.



↗ კლუბ “საზღაპრეთის” წევრებს, საქართველოში გავრცელებული საახალწლო და საშობაო ტრადიციების შესახებ ინფორმაცია, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერაძემ მიაწოდა. თავის მხრივ მოზარდებმა, საკუთარი ოჯახების მაგალითზე, სხვადასხვა ტრადიციებზე ისაუბრეს. ლელა სურმანიძემ კი მოსწავლეებს ძალიან საინტერესო მოთხრობა “საშობაო სიმღერა” წაუკითხა.

ბიბლიოთეკის ღონისძიებები და აქტივობები

გამოფენა - „ვეფხისტყაოსანი“

2020 წლის 18 თებერვალს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ახალ საგანმანათლებლო სივრცეში, წიგნის მუზეუმში, პირველი შეხვედრა ჩატარდა. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ კერძო სკოლა „ევრო-2000“-ის მოსწავლეებთან ისაუბრეს „ვეფხისტყაოსანზე“. წიგნის მუზეუმში გამოფენილი იყო ბიბლიოთეკის ძირითად საცავში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ 107 გამოცემის ყველა ეგზემპლარი. განსაკუთრებული ყურადღება ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ რარიტეტულ გამოცემებზე გაამახვილა, დაწვრილებით ისაუბრა კონსტანტინე (კოწია) თავართქილაძის გამომცემლობაზე და ბათუმში 1899 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის დედანიც ამშვენებს საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნსაცავის ფონდს.

ბიბლიოთეკის ახალი საგანმანათლებლო სივრცე იწყებს ახალ საგანმანათლებლო პროექტს და ეპატიჟება მასტერ-კლასების, საჯარო ლექციებისა და ღია გაკვეთილების ჩასატარებლად, ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

#გელით

#საგანმანათლებლოსივრცე



რამაზ სურმანიძის მიერ მომზადებული წიგნის პრეზენტაცია

2020 წლის 5 მარტს, 16 საათზე PREMIER BEST WESTERN-ში გაიმართა ბათუმის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალერის, მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის რამაზ სურმანიძის მიერ მომზადებული წიგნის „მუსტაფა იაქუთი - გურამ ხიმშიაშვილი“ განხილვა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, პუბლიცისტი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული გურამ ხიმშიაშვილი და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აკავშირებდათ.

წიგნი „გურამ ხიმშიაშვილი“ წარადგინა რამაზ სურმანიძემ. ასევე, მოხსენებით წარსდგა, აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი თეა ღოღობერიძე.

მოწვეულმა სტუმრებმა: დავით თედორაძემ, აკაკი ბერიძემ, ჯეირან ფალავანდიშვილმა, შოთა დიასამიძემ, ასლან კაკაბაძემ, გულიკო გაბაიძემ, როინ მალაყმაძემ, ეთერ ბერიძემ, თამაზ ფუტკარაძემ, მერაბ ხიმშიაშვილმა, თემურ ზოიძემ, თემურ ქათამაძემ, მერაბ ფუტკარაძემ, იასონ გელაძემ, მურმან ჭაღალიძემ ისაუბრეს გურამ ხიმშიაშვილის პიროვნებაზე, თურქეთში მცხოვრები ქართველების ღვაწლსა და ეროვნულ ღირებულებებზე.

წიგნის წარდგენის დასასრულს, გურამ ხიმშიაშვილმა ვრცლად ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, ჟურნალ „ჩვენებურები“-ს დამფუძნებელ ახმედ ოზქან მელაშვილზე, ქართველი და თურქი საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობასა და ღვაწლზე.

წიგნის წარდგენა გააშუქა აჭარის ტელევიზიამ და TV 25-მა.



ლიტერატურული

პერფორმანსი - ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე



2020 წლის 28 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში, კერძო სკოლა „ნიკეს“ X, XI, XII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, გაიმართა ლიტერატურული პერფორმანსი „ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო

ჭავჭავაძე“.

ჭავჭავაძეთა სალონური სადამო... რომანტიზმი და რომანტიკული სიყვარული. თვალწარმტაცი ნინო და მასზე თავდავიწყებით შეყვარებული ალექსანდრე გრიბოედოვი...

სკოლა „ნიკეს“ მოსწავლეებმა, საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს სალონური ელფერი შესძინეს...

ჩოხოსანი, მუნდიროსანი, კლდემამოსილი, გრაციოზული იმ ეპოქის პერსონაჟები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ...

მოსწავლეებმა შეძლეს და მსმენელამდე მოიტანეს ის მუხტი, რასაც სიყვარული, დროების გარდასახვა, თაობის გრადაცია და საწუთროს მომავალი ჰქვია.

♥♥♥ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია, ამ საინტერესო პერფორმანსის მომზადებისათვის, მადლობას უხდის სკოლის დირექტორს იზო ტაკიძეს და პედაგოგებს: კესო ბორჩხაძეს, ნინო ლაზიშვილს, ლალი კონცელიძეს, ნინო ღლონტს, თათია ფურცხვანიძეს, თამარ ჩიმაკაძეს, ნათია კოსტავას და მაია ჯგირინაიას



საჯარო ლექცია: „ადრექრისტიანული ქართული არქიტექტურა“

2020 წლის 26 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში მხატვარმა ელგუჯა ხაზარაძემ ლექცია - „ადრექრისტიანული, ფეოდალური პერიოდის ქართული არქიტექტურა“ ჩაატარა, რომელსაც მახინჯაურის საჯარო სკოლის მერვეკლასელები და პედაგოგები დაესწრნენ.



ლექციაზე მოსწავლეებმა მოისმინეს საინტერესო ინფორმაცია და ფოტომასალის მეშვეობით ნახეს უძველესი ქართული ქრისტიანული ტაძრების, სხვადასხვა ეპოქაში აგებული მამულები, საკულტო შენობების შემორჩენილი ფრაგმენტები და რეკონსტრუქციები.

მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ ბიბლიოთეკის ახალ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ „წიგნის მუზეუმში“ გამოფენილ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს.

#ახალსივრცე #ახალიშესაძლებლობა #ახალიგანზომილება

2020 წლის 26 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ წიგნის მუზეუმში, დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნანა გოგიამ, მეთექვსელთათვის ინოვაციური გაკვეთილი ჩაატარა; თემა: „ვეფხისტყაოსანი“.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე ბიბლიოთეკის ფონდში არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალურ გამოცემებსა და საგანმანათლებლო სივრცის მნიშვნელობაზე ესაუბრა მოსწავლეებს. ბიბლიოთეკის ფონდში ინახება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 107 გამოცემა, მათ შორის: ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, სომხურ, უზბეკურ, ქურთულ, ყაზახულ, ბასკურ, ტაჯიკურ ენებზე.

წამყვანმა ბიბლიოთეკარმა და ხელოვნების პედაგოგმა ნათია დევაძემ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე, მის მხატვრულ ღირებულებასა და პერსონაჟთა სახეებზე ისაუბრა; როგორც ვიცით, XIX ს 80-იანი წლებიდან დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებული გამოცემების ბეჭდვა; პირველი ილუსტრაციები უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩმა შეასრულა. შემდგომ გამოცემებში გვხვდება მხატვრების: ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, მამუკა თავაქარაშვილის, დავით მაჭავარიანის, ირაკლი თოიძის, ნათელა იანქოშვილის, ნანული გიგოშვილის, ირაკლი ოჩიაურისა და ბათუმელი მხატვრის - ზურაბ ხაბაძის შესანიშნავი ილუსტრაციები.

არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკისა და აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ჩართულობით, აჭარის რეგიონში არსებული საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის შესაძლებელია ღია და ინოვაციური გაკვეთილების, სემინარების, ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარება. ამ დროს წიგნის მუზეუმში გამოიფინება ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში არსებული, დარგებისა და თემატიკის მიხედვით, რარიტეტული და ახალი წიგნები .

ბიბლიოთეკა არის შენი #სივრცე #საიმედო მომავალი
#გელოდები თწიგნის მუზეუმში



შეხვედრები პატარებთან

#ახალისივრცე

#ბავშვთაოთახი

#შეხვედრებიპატარებთან

2020 წლის 19 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო



ბიბლიოთეკაში ახლადგახსნილ საგანმანათლებლო სივრცეში სტუმრად იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმის მე-2 საჯარო ბაღის აღსაზრდელები, (მასწავლებელი მაია წილოსანი და მარინე მხატვარი). საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ და ამავე ბიბლიოთეკის წამყვანმა

ბიბლიოთეკარმა ანუშკა მჭავანაძემ პატარებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ბავშვთა ოთახში, თანამდროვე საბავშვო მწერლის მარიამ წიკლაურის წიგნიდან „მხიარული რეცეპტები“ წაუკითხა ლექსი „დევი ბიჭი მაწონს ჭამს და ანა კემპისა და სარა ოგილვის ზღაპარი „მარტორქები ბლინებს არ ჭამენ“.

ანუშკა მჭავანაძის მიერ წაკითხული ზღაპარი „მარტორქები ბლინებს არ ჭამენ“ ინტერესით მოისმინეს პატარებმა. შეხვედრის დასასრულს პატარებს გადაეცათ სპეციალურად მათთვის დამზადებული ზღაპრის გმირების გასაფერადებელი ფლაიერი.

2020 წლის 18 თებერვალს, 16 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოურ განყოფილებაში (ქ. ხოსრუაშვილი), კერძო სკოლა „განათლების“ მოსწავლეებმა და პედაგოგმა მაია მენაბდემ, მსმენელს წარუდგინეს ამერიკელი მწერლის, ერნესტ მილერ ჰემინგუეის მოთხრობა „მოხუცი და ზღვა“ და ნაწარმოების ანიმაციური ეკრანიზაცია. ნაწარმოების ირგვლივ წარიმართა საინტერესო დისკუსია. წიგნის განხილვას ესწრებოდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, მწერლის შემოქმედებით დაინტერესებული საზოგადოება და მოწვეული სტუმრები. მოეწყო საჯარო ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდში დაცული, ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის წიგნების გამოფენა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე.



#ბიბლიოთეკაშეუცვლელია

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას დღეს საქართველოს ტელევიზიის პრველი არხი და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი და ტელეწამყვანი გიორგი კეკელიძე სტუმრობდა. გადაცემის თემა ახალი მულტიფუნქციური საგანმანათლებლო სივრცის გაცნობა გახლდათ. აქ არსებულ წიგნის მუზეუმში გამოფენილი იყო ბიბლიოთეკის ძირითად საცავში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ 107 გამოცემის ყველა ეგზემპლარი. განსაკუთრებული ყურადღება ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ რარიტეტულ გამოცემებზე გაამახვილა, დაწვრილებით ისაუბრა კონსტანტინე (კოწია) თავართქილაძის გამომცემლობაზე და ბათუმში 1899 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის დედანიც ამჟვენებს საჯარო ბიბლიოთეკის ფონდს. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ბათუმის კერძო სკოლა ევრო-2000 მოსწავლეებმა.



ჟურნალ „მზიანი ღამის“ მეორე ნომრის განხილვა

2020 წლის 13 თებერვალს, 17 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ცნობილი პუბლიცისტის, მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის, ოთარ გაგუას ყოველწლიური ჟურნალ - „მზიანი ღამის“ განხილვა გაიმართა.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ჟურნალ „მზიანი ღამის“ მეორე ნომერი, რომელიც შინაარსობრივად მრავალფეროვანია.

ჟურნალ „მზიანი ღამის“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, სტატიის ავტორები, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჟურნალის დამფუძნებლის, ბატონი ოთარ გაგუას მეუღლემ, ქალბატონმა მაკა მოწენიძემ მსმენელს სამადლობელო წერილი წარუდგინა.

„მზიანი ღამის“ პრეზენტაცია წარადგინა ჟურნალის რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ.

მოწვეულმა სტუმრებმა: თენგიზ აფხაზავამ, ალექო ჩიტშილმა, ალექო ჩხარტიშვილმა, ია შალამბერიძემ, მზია შავაძემ, თამაზ თურმანიძემ, პაატა აროშიძემ, თამაზ მჭავანაძემ, მანანა ძიძიშვილმა, პაატა ურიადმყოფელმა, რამაზ სურმანიძემ ისაუბრეს ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებზე და სამომავლო გეგმებზე.



#იკითხებამაღლა

#შეცვალესოფლიო

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 2020 წლის 5 თებერვალს, წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ლიტერატურული აქტივობები გაიმართა, რომელშიც ქალაქ ბათუმის მერმა, ბატონმა ლაშა კომახიძემ მიიღო მონაწილეობა.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით, ლაშა კომახიძემ ბაღის აღსაზრდელებს ზღაპარი, სკოლის მოსწავლეებს კი ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ბოშები“ წაუკითხა.

ქალაქის მერი ბავშვებთან ერთად ბიბლიოთეკის ახლადგახსნილ მულტიფუნქციურ საგანმანათლებლო სივრცეს გაეცნო, რომელშიც განთავსებულია რარიტეტული წიგნებისა და საფოსტო მარკების მუზეუმი, ბავშვთა, საკონფერენციო, პრესის არქივისა და დეპოზიტარიუმის ოთახები.

ბიბლიოთეკის ამ სივრცის შექმნა ქალაქ ბათუმის მერიის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.



წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე!

#WorldReadAloudDay #WRAD2020

#იკითხებმამალა, #შეცვალემსოფლიო!



აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის საჯარო
ბიბლიოთეკაში, 2020 წლის 5
თებერვალს, წიგნის საჯაროდ
კითხვის მსოფლიო დღესთან
დაკავშირებით, სხვადასხვა
ლიტერატურული აქტივობები
გაიმართა, რომლებშიც მონაწილეობა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და

სპორტის მინისტრმა, მაია ხაჯიშვილმა, ქალაქ ბათუმის მერმა, ლაშა კომახიძემ,
პოეტებმა და მწერლებმა მიიღეს.

სტუმრებმა ბავშვებთან ერთად ბიბლიოთეკის ახალი სივრცეები - წიგნების
მუზეუმი, მარკების მუზეუმი, ბავშვთა ოთახი და საკონფერენციო დარბაზი
დაათვალიერეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის
მინისტრმა, მაია ხაჯიშვილმა ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში ბათუმის
საჯარო სკოლების მოსწავლეებს ახალგაზრდა გარდაცვლილი მწერლის ანა ლაშხელი-
ონიანის მოთხრობა - „ბაბუას წერილი ნინიკოს“ წაუკითხა.

ქალაქ ბათუმის მერმა, ლაშა კომახიძემ ბიბლიოთეკის ახალ საგანმანათლებლო
სივრცეში არსებულ ბავშვთა ოთახში ბაღის აღსაზრდელებს ზღაპარი წაუკითხა,
სკოლის მოსწავლეებს კი, ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ბოშები“.

“ვიკითხოთ ხმამაღლა, შევცვალოთ სამყარო!” - ასეთია წიგნის საჯაროდ
კითხვის დღის მთავარი ლოზუნგი. მისი ავტორი კი ამერიკელი მწერალი და
წიგნიერების ექსპერტი პემ ალინია – ქალი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის
ბავშვების წიგნიერებისთვის ბრძოლის საქმეში როგორც აშშ-ში, ასევე მსოფლიოს 60-
მდე ქვეყანაში. სწორედ პემ ალინი გახლავთ საერთაშორისო ორგანიზაცია LitWorld

დამფუძნებელი დირექტორი და წიგნის საჯაროდ კითხვის დღის დაწესების
ინიციატორიც.

დღეს, წიგნის კითხვა ნამდვილ ზეიმად იქცა ბიბლიოთეკაში მოსული
ბავშვებისათვის, რაც იმედს გვაძლევს, რომ მსოფლიო იქნება იმაზე უკეთესი ვიდრე
დღეს არის!

#იკითხეხმამალა

#შეცვალემსოფლიო

2020 წლის 5 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში წიგნის კითხვა ნამდვილ ზეიმად იქცა.



დღის განმავლობაში, წიგნის ხმამალა კითხვისას, ბავშვების ჭკვიანი, ბედნიერი, ზოგჯერ სევდიანი თვალები, წაკითხული ტექსტების შესაბამის ემოციებს ნათლად ასახავდნენ.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ინგა გოგიბერიძემ ქვედა განთიადის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებისათვის, ბიბლიოთეკის ახალ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ბავშვთა ოთახში, გიორგი კეკელიძის „თომთეს ზღაპარი“ წაიკითხა.

„ვიკითხოთ ხმამალა, შევცვალოთ სამყარო!“ - ამ ლოზუნგის ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ მსოფლიოს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ღირსეულად შეუერთდა და უამრავი ბავშვისათვის წაკითხული წიგნების ხმა მივაწვდინეთ სამყაროს !!!

#WorldReadAloudDay #WRAD2020 #იკითხეხმამალა, #შეცვალემსოფლიო!

აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის საჯარო
ბიბლიოთეკაში, 2020 წლის 5
თებერვალს, წიგნის საჯაროდ
კითხვის მსოფლიო დღესთან
დაკავშირებით გამართულ
ლიტერატურულ ღონისძიებებში,
მონაწილეობა მიიღო პროექტმა მაყვალა
დავლაძემ.



პროექტმა, ბიბლიოთეკის ახალ საგანმანათლებლო სივრცეში, ბათუმის მე-4
საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებსა და სტუმრებს, საკუთარი ლექსები და ინგა
გოგიბერიძის მინიატურები წაუკითხა.

პოეზიის მოყვარულთათვის მაყვალა დავლაძის წაკითხული ლექსების მოსმენა
ნამდვილი დღესასწაულია.

#შეცვალესოფლიო

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წამყვანმა



ბიბლიოთეკარმა ანუშკა მჭავანაძემ, წიგნის კითხვის დღესთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში თანამედროვე მწერლის - ჯონ სტეინბეკის ნაწარმოები „მარგალიტი“ წარადგინა, რომელსაც მოწვეული საზოგადოება და ბიბლიოთეკის თანამშრომლები დაესწრნენ.

ანუშკა მჭავანაძე ბიბლიოთეკის ახალი თანამშრომელია. მის მიერ

საინტერესოდ მომზადებული პრეზენტაცია ერთგვარი დებიუტი იყო, რომლითაც მსმენელის მოწონება დაიმსახურა.

პოეტ რეზო სტურუას „ლექსის ზეიმი“

2020 წლის 21 იანვარს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში პოეტ რეზო სტურუას პოეზიის სადამო გაიმართა.

სადამოზე მობრძანებულ სტუმრებს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ინგა გოგიბერიძე მიესალმა და რეზო სტურუას - ბათუმელი, ზღვაზე გაზრდილი ბიჭის, ბიოგრაფიულ შტრიხებზე ისაუბრა.



სადამო წარმართა ჩვენი ქალაქის მშვენივრად, უბადლო სიტყვისა და ლექსების ავტორმა, ქალბატონმა ცისანა ანთაძემ. სასიამოვნო შეხვედრა მისთვის ჩვეული მოსაფერებელი სიტყვებით და ლექსებით გაამდიდრა.

სიტყვით გამომსვლელ სტუმრებს შორის იყვნენ მწერალი

და საზოგადო მოღვაწე რამაზ სურმაშიძე, პოეტი ვახტანგ ღლონტი, პოეტი ლევან ხოზრევანიძე, ასლან კაკაბაძე, ნანა ანთაძე, საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარის“ მოსწავლეები, რომლებმაც პოეტის ლექსები წაიკითხეს. სადამოს ესწრებოდნენ რეზო სტურუას მეგობრები, ბათუმის საზოგადოება, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ბატონმა რეზო სტურუამ წაიკითხა ის ლექსები, რომლებიც ჯერ არ დაბეჭდილა და მალე მის ახალ კრებულში იხილავს მკითხველი. მისი პოეზია ძირითადად ავტობიოგრაფიულია; ის მუდმივად ბავშვობაში ბრუნდება და ტკბილ მოგონებებს ეფერება სტრიქონებით.

მშობლიურ ქალაქთან, ბათუმთან დაკავშირებულმა სიყვარულმა პოეტს არაერთი ლექსი დააწერინა, რომლითაც გამორჩეულად ეალერსება ბავშვობის ქალაქს. რეზო სტურუა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი - საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მინიჭებული გალაკტიონის პრემიის მფლობელია.

ის ათამდე კრებულის ავტორი გახლავთ. სწორედს კრებულმა „ლექსები“ გალაკტიონის პრემია დაიმსახურა. მასში თავმოყრილია ავტორის საუკეთესო ლექსები, რომელიც საეტაპოა მის შემოქმედებაში.

სადამოზე მობრძანებულ სტუმრებს პოეტისაგან საჩუქრად ერგოთ კრებული „ლექსები“.

#დარჩისახლში

ვაგრძელებთ იტალიის ღირსშესანიშნავი ბიბლიოთეკების ისტორიის გაცნობას. #vivaitalia

დასავლეთში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა დაარსდა რომის იმპერიის გავლენის ქვეშ.

რომის პირველი საჯარო ბიბლიოთეკა დააარსა ასინიუს პოლიომ, რომელიც იულიუს კეისრის ლეიტენანტი და მხარდამჭერი იყო. მას შემდეგ, რაც მისმა ჯარმა გაიმარჯვა ილირიაში, პოლიო მიხვდა, რომ სახელი საკმარისად მოიხვეჭა და გადაწყვიტა იულიუს კეისრის დიდი ხნის ჩანაფიქრი განეხორციელებინა და რომში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინა, რითაც იმპერიის პრესტიჟს კიდევ უფრო გაზრდიდა და თან მეტოქეობას გაუწევდა ალექსანდრიას.

მოგვიანებით იმპერატორებმაც დაიწყეს ბიბლიოთეკათა დაარსება (ავგუსტუსმა, ტიბერიუსმა და სხვებმა).

ჩვ.წ. IV საუკუნის რომში ითვლიდნენ 28 საჯარო ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკები აღმოჩენილია პროვინციულ ქალაქებშიც.

ქრისტიანულ ხანაში ბიბლიოთეკები არსებობდა ეკლესიებსა და მონასტრებში. ანტიკური ლიტერატურის ძეგლები სწორედ სამონასტრო ბიბლიოთეკებმა შემოგვინახეს.



#Vivaitalia

ტურინის სამეფო ბიბლიოთეკა

სამეფო ბიბლიოთეკა, რომელიც ტურინის სამეფო მუზეუმების კომპლექსის ნაწილია, 1831 წელს მეფე კარლო ალბერტოს მიერ დაარსდა, რომელმაც პირველ ბიბლიოთეკარად გრაფი მიკელე სავერიო პროვანა დელ საბიონე დანიშნა და რთული დავალება მისცა: მას უნდა გაემდიდრებინა სავოის სამეფო სახლის კუთვნილი ბიბლიოთეკა, რომელიც იმ დროისათვის საგრძნობლად შეთხელებულიყო (გარდა იმისა, რომ მისი დიდი ნაწილი ვიტორიო ამედეო II-მ ტურინის უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა, ბიბლიოთეკა ნაპოლეონის ეპოქაში არაერთხელ გაიძარცვა). ბიბლიოთეკის გადარჩენილ ნაწილს კარლო ალბერტომ საკუთარი წიგნები, რომლებსაც ნდობით აღჭურვილი პირები ანტიკვარიატის ბაზარზე ყიდულობდნენ და მისთვის ძღვნად მირთმეული ტომები დაამატა.

ბიბლიოთეკის კოლექციები წლების განმავლობაში მდიდრდებოდა და ივსებოდა ევროპის უდიდეს დედაქალაქებთან კავშირების წყალობით, დიდგვაროვანი ქალების მზითევით და სავოის სამეფო კარის ბიბლიოთეკარებისა და ნდობით აღჭურვილი პირების შენაძენებით. სავოის სამეფო სახლს „თავისი“ ბიბლიოთეკის ახალ-ახალი საუნჯეებით გამდიდრება მაშინაც არ შეუწყვეტია, როდესაც სასახლის კარმა ჯერ ფლორენციაში, შემდეგ კი რომში გადაინაცვლა. ბიბლიოთეკა გადაიქცა საგანძურად, რომელიც სავსე იყო ხელნაწერებით, პირველი ნაბეჭდი თუ მეთექვსმეტე საუკუნის წიგნებით, ნახატებით, გრავიურებით, რელიეფებით, მეთექვსმეტე საუკუნის სანაოსნო რუკებით, საარქივო ფონდებით (1500-ზე მეტი პერგამენტით, რომელთა შორის, ზოგიერთი მე-9 საუკუნით თარიღდება), ტრადიციების, ხედებისა და ისტორიულ-სოციალური მოვლენების ამსახველი უძვირფასესი ფოტოალბომებით და, აგრეთვე, საჩუქრად გადაცემული საგნებითა და პირადი ნივთებით, რომელთა მეშვეობით ოჯახური ბიბლიოთეკის მოწყობა შეიძლებოდა.

ხელნაწერები ინახება ისეთ ფონდებში, როგორიცაა „ისტორია“, „სამხედრო საქმე“, „აღმოსავლეთი“, „იტალიის ისტორია“, „ვერნაცა“, „სალუცო“, „სავოის სამეფო სახლი“, „პერგამენტები“ და „სხვადასხვა“. ამ უკანასკნელში დაცულია ლეონარდო და ვინჩის „ფრინველთა ფრენის კოდექსი“ და სხვადასხვა ენაზე შექმნილი ლიტერატურული ხელნაწერები (მათ შორის, „სფორცას კოდექსი“ ქრისტოფორო დე

პრედისის მინიატურებით, რომელიც ფონდის ერთ-ერთი უძვირფასესი ექსპონატია). გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში ინახება არა მხოლოდ ლუზერნა დ'ანგრონიას, სკარამპი დი ვილანოვას, პრომისის, პალავიჩინო-მოსის არქივები, არამედ ნაკლებად ცნობილი არქივები, რომელიც ჯერ კიდევ შესასწავლია (მარია კლოტილდე სავოიელის, მარგერიტა სარდინიელის არქივები და კარლო ალბერტის დროინდელი კარაბინერთა არქივის ნაწილი).

ამჟამად ბიბლიოთეკაში დაცულია 200.000-მდე ტომი, 4.500 ხელნაწერი, 3.055 ესკიზი, 187 ინკულაბულა, 5.019 მეთექვსმეტე საუკუნის წიგნი, 1.500 პერგამენტი, 1.112 პერიოდული გამოცემა, 400 ფოტოალბომი, გეოგრაფიული რუკები, გრავიურები და ესტამპები. კოლექციები სულ უფრო მდიდრდება ანტიკვარიატის ბაზარზე შეძენილი ექსპონატების წყალობით. გარდა ამისა, აქ შეგიძლიათ გაეცნოთ სამეფო ბიბლიოთეკის განცალკევებული სექციის - სუპერგას ბაზილიკის ბიბლიოთეკის წიგნებსაც.



#დარჩისახლში #უკეთესიმომავლისთვის

#Vivaitalia 🇧🇪

✓✓აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, კორონა



ვირუსთან დაკავშირებული მძიმე და ტრაგიკული შემთხვევების გამო, იტალიელ ხალხს და სახელმწიფოს უცხადებს თანადგომას! ❀❀

მიუხედავად ძნელბედობისა, ამ დიდებულმა ერმა შეძლო მისი გამორჩეული ნიჭისა და თანადგომის წარმოჩენა და მსოფლიოს მისცა გაუტეხელობის

მაგალითი!

❀ დღეს ვიმოგზაუროთ ფლორენციის ეროვნულ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

❀ ფლორენციის ნაციონალური ბიბლიოთეკა ერთ-ერთია იმ ორ ბიბლიოთეკას შორის, რომელიც მდებარეობს იტალიაში, რომის ნაციონალური ბიბლიოთეკის შემდეგ.

❀ ბიბლიოთეკა დაარსდა 1714 წელს, როდესაც ცნობილმა იტალიელმა მეცნიერმა ანტონიო მალიაბეკმა თავისი შემოქმედების კოლექცია, რომელიც დაახლოებით 30 000 ტომს შეადგენდა გადასცა ქალაქ ფლორენციას.

❀ თავდაპირველად ის მალიაბეკის ბიბლიოთეკის სახელით იყო ცნობილი და 1747 წელს გაიხსნა საზოგადოებისთვის.

❀ 1861 წელს ბიბლიოთეკის ფონდი გაერთიანდა სხვა ბიბლიოთეკის ფონდთან - „Biblioteca Palatina“ და მხოლოდ 1885 წელს გადაერქვა სახელი და ცნობილია, როგორც - ფლორენციის ეროვნული ცენტრალური ბიბლიოთეკა.

❀ 1870 წლიდან ბიბლიოთეკა აგროვებს ყველა იტალიური გამოცემის ასლებს.

❀ 1935 წლიდან წიგნების კოლექციები განთავსებულია ცეზარ ბაზანანის მიერ დაპროექტებულ შენობაში, რომელიც მდინარე არნოს გასწვრივ მდებარეობს. მანამდე ისინი განთავსებული იყო უფფიზის გალერეის საკუთრებაში არსებულ შენობაში.

❀ 1966 წლის ძლიერი წყალდიდობის დროს მდინარე არნომ დატბორა ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით დააზიანა ბიბლიოთეკის წიგნის საცავების თითქმის ერთი მესამედი, მათ შორის პერიოდული გამოცემები და წიგნების იშვიათი კოლექციები.

#დარჩისახლში #უკეთესიმომავლისთვის #Vivaitalia ❀❀

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, კორონა ვირუსთან დაკავშირებული მძიმე და ტრაგიკული შემთხვევების გამო, იტალიელ ხალხს და სახელმწიფოს უცხადებს თანადგომას! 💔💔

ITITმიუხედავად მნელბედობისა, ამ დიდებულმა ერმა შეძლო მისი გამორჩეული ნიჭისა და თანადგომის წარმოჩენა და მსოფლიოს მისცა გაუტეხელობის მაგალითი!


ჩვენ გვაქვს სურვილი კიდევ ერთხელ გაგაცნოთ იტალიური კულტურის, ხელოვნების, განათლების, მიღწევები და შეძლებისდაგვარად მომავალში შევძლოთ მათი გაზიარება...

 დღეს გაგაცნობთ პლაჟის ბიბლიოთეკას იტალიაში, რომელიც Castellabate, Montecorice და Pollica-Accharoli- ს და კიდევ 32 ქალაქის სანაპიროს პლაჟებზეა განთავსებული და შეგიძლიათ ისარგებლოთ წიგნის უფასოდ გატანის სერვისით. სანაპიროს დატოვებისას კი წიგნი უნდა დააბრუნოთ უკან.

 ამ პროექტის იდეა იყო ისეთი ტიპის ბიბლიოთეკის ორგანიზება პლაჟებზე, სადაც ტურისტებს და არამარტო, შეეძლებოდათ ნებისმიერი წიგნის აღება უფასოდ, ჩაწერის გარეშე, რომელსაც წაიკითხავდნენ სანაპიროზე, შემდეგ კი დატოვებდნენ თაროზე.

 პროექტის მიზანი იყო კითხვის წახალისება, მათ შორის სანაპიროზე. პლაჟის ბიბლიოთეკის „ფონდში“ დაცულია იტალიელების სახლებში („თაროებზე მტვრისგან“) შემორჩენილი სხვადასხვა თემატიკის წიგნები.

 პროექტმა გაამართლა და მილიონობით ტურისტი და იტალიელი



სიახლეები

თოვლის გამყიდველის წარმატება

2020 წელს ☐ წიგნი „თოვლის გამყიდველი“ (ავტორი ინგა გოგიბერიძე) ლიტერატურული პრემიების "ლიტერას" და "საბას" ნომინანტთა სიაშია.

ეს ნამდვილად დიდი წარმატებაა! 😊

გილოცავთ ქალბატონო ინგა

#წვენგვიყვარსწვენიდირექტორი


#ბათუმისსაჯარო ბიბლიოთეკა

#გამომცემლობა #ინტელექტი



სადეზინფექციო ღონისძიებები

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში სადეზინფექციო ღონისძიებები განხორციელდა. [ბათუმის მერია/Batumi City Hall](#)



საჩუქრად წიგნები ბიბლიოთეკას



მწერალი ვაჟა კაკაბაძე გახლავთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი და იმ



წიგნების ავტორი, რომლებიც აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა.


საგანმანათლებლო სივრცე

2019 წლის 21 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო



ბიბლიოთეკაში ახალი საგანმანათლებლო სივრცე გაიხსნა. სივრცე მულტიფუნქციურია და მოიცავს რარიტეტული წიგნებისა და საფოსტო მარკების მუზეუმს, ბავშვთა, საკონფერენციო, პრესის არქივისა და დეპოზიტარიუმის ოთახებს.

ბათუმში ჩამოსულ ტურისტს საშუალება ექნება ბათუმის რუკაზე ახალი სივრცე მოინიშნოს და გაეცნოს ბიბლიოთეკის ისტორიას, საფოსტო მარკების ისტორიას, დაათვალიეროს ბიბლიოთეკა და ყველა ლიტერატურული სივრცე (დახურული ფონდების გარდა).



საჯარო სკოლების პედაგოგებს მიეცემა საშუალება წიგნის მუზეუმის სივრცეში ჩაატარონ საჯარო ლექციები, მასტერკლასები, ღია გაკვეთილები. ამ დროს მუზეუმში შესაბამისი დარგის ლიტერატურა გამოიფინება, რაც ხელს შეუწყობს ახლაგაზრდების დაახლოებას წიგნთან,

რარიტეტული ლიტერატურის გაცნობას.

საგანმანათლებლო სივრცის გასაცნობად შემუშავებულია 40 წუთიანი პროგრამა (საფასური 1 ერთი ლარი) რომელიც მოიცავს ყველა ზემოთჩამოთვლილი სივრცის გაცნობას ბიბლიოთეკარი-გიდის თანხლებით.



გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი

2020 წლის 18 თებერვალს გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასა და კერძო სკოლას შპს განათლებას შორის.



პროექტი #ეკვილიბრიუმი

პროექტმა #ეკვილიბრიუმი, რომელსაც მწერალი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ხელმძღვანელობს, მთელი საქართველო მოიცვა. ბატონი გიორგი აჭარას ხშირად სტუმრობს და რა თქმა უნდა არ ტოვებს აჭარის მაღალმთიან სოფლებს უყურადღებოდ.... დღეს, სალიბაურის 1 საჯარო სკოლას ვეწვიეთ და ბავშვები ახალი წიგნებით გავახარეთ.

დიდი მადლობა #გალფს.

დიდი მადლობა #მახინჯაურის 1 საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და პროექტს #წიგნიავეტორიშკითხველი.



ვიზიტი ქალაქ რიზეს სახალხო ბიბლიოთეკაში

2020 წლის 7 თებერვალს, თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს „რიზეს გუბერნიის სახალხო ბიბლიოთეკასა“ და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს თურქული და ქართული წიგნების კუთხის მოწყობას აღნიშნულ ბიბლიოთეკებში; შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება საერთო გამოცემების მომზადება, ბიბლიოთეკარების გადამზადება, სხვადასხვა საინტერესო აქტივობებისა და პროექტების დაგეგმვა.



მემორანდუმის გაფორმებაში და საქმიანი ვიზიტის განხორციელებაში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას დახმარება გაუწია ა(ა)იპ „თურქეთში კურსადმთავრებულთა ასოციაცია ბათუმში“. სწორედ ამ ორგანიზაციასთან ერთად დაიგეგმა მომდევნო ვიზიტი, რომლის დროსაც მოხდება 300 ქართულენოვანი წიგნის გადაცემა რიზეს სახალხო ბიბლიოთეკისათვის, რომლებიც განთავსდება სპეციალურად ქართული წიგნებისათვის გამოყოფილ კუთხეში. თავის მხრივ, რიზეს ბიბლიოთეკის მიერ გადმოცემული წიგნები განთავსდება ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში და თურქულენოვანი წიგნებისათვის მოეწყობა კუთხე.

განსაკუთრებული ყურადღებისა და თანამშრომლობისათვის აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია მადლობას უხდის თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოს ბათუმში და ორგანიზაციის - „თურქეთში კურსადმთავრებულთა ასოციაცია ბათუმში“ ხელმძღვანელს თეონა ვარშალომიძეს.

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ, ბათუმის ფრანგულ სკოლასთან გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.



გასვლითი შეხვედრა წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით

#WorldReadAloudDay #WRAD2020

#იკითხეხმამალა

#შეცვალემსოფლიო

2020 წლის 4 თებერვალს, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, პროზაიკოსი, ინგა



გოგიბერიძე და პოეტი მაყვალა დავლაძე დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლას სტუმრობდნენ.

მოსწავლეებმა წიგნის კითხვის დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ლიტერატურული აქტივობები წარმოადგინეს. წაიკითხეს ლექსები, მოთხრობები, ამონარიდები ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან, ნიკო გომელაურის ხსოვნის საპატივსაცემოდ წაიკითხეს ლექსები, გიტარის თანხლებით შეასრულეს მუსიკალური ნომრები.

წარმოადგინეს თეატრალური პერფორმანსი პიესიდან „რომეო და ჯულიეტა“. თავის მხრივ, ინგა გოგიბერიძემ ახალგაზრდა გარდაცვლილი მწერლის, ანა ლაშხელი-ონიანის მოთხრობა „ბაბუას წერილი ნინიკოს“ (აკვანი) და საკუთარი მინიატურა „თავისუფალეზა“, პოეტმა მაყვალა დავლაძემ კი თავისი შემოქმედებიდან ლექსები წაუკითხა მოსწავლეებს.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში იხსნება ხატვის შემსწავლელი უფასო წრე.



აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში იხსნება 13 დან - 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის ხატვის შემსწავლელი უფასო წრე.

ხელმძღვანელი: მხატვარი ელგუჯა ხაზარაძე.

რეგისტრაციისათვის პირადი მონაცემები მოგვწერეთ ბიბლიოთეკის ელ.ფოსტაზე: bibliotekabatumis@gmail.com

უფასო წრეში გასაწევრიანებლად ბიბლიოთეკის რეგისტრატურაში გაიარეთ რეგისტრაცია. პირველი შეხვედრა შედგება 2020 წლის 19 თებერვალს 17 საათზე ბიბლიოთეკის ახალ საგანმანათლებლო სივრცეში.



მისამართი: ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ.21



ხატვის შემსწავლელი წრე

2020 წლის 19 თებერვალს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ხატვის შემსწავლელი წრის პირველი შეხვედრა ჩატარდა.

მხატვარი ელგუჯა ხაზარაძე ხატვით დაინტერესებულ მოზარდებს, სახვითი ხელოვნების ძირითად პრინციპებსა და გამომსახველობით ტექნიკაზე ესაუბრა.


პირველი გაკვეთილის პრაქტიკული დავალება შტრიხის, ტონალობისა და გრადაციის შესრულება იყო.

ხატვის წრე ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებული მოზარდებისათვის უფასოა.



ქართული ანიმაციური ფილმები

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-



ახალგაზრდობის განყოფილება ახალ პროექტს იწყებს - „ქართული ანიმაციური ფილმების პოპულარიზაცია“. (პროექტის ავტორი: ეკატერინე დავითაძე).

პროექტის მიზანია აჭარის საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი, კულტურული გარემოს შექმნა, მონაწილეთა შორის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა, არაფორმალური დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა და ქართული ანიმაციური ფილმების პოპულარიზაცია.

პროექტის ამოცანაა, ინფორმაციულ ქსოვში პატარებს მაქსიმალურად ხარისხიანი ანიმაცია მივაწოდოთ, ამ შემთხვევაში კი, მეოცე საკუნეში, სტუდია “ქართული ფილმის” მიერ გადაღებული მულტფილმებს გავუწიოთ პოპულარიზაცია.